საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 22 02918012

18/10/2022

**ქალბატონ ელენეს**
მისამართი: ქ.თბილისი, ორთაჭალის ქუჩა 77
ტელეფონის ნომერი: 598110056
პირადი ნომერი: 35001125338
ელ. ფოსტა: foi+request-1089-147b4cd4@askgov.ge

**ქალბატონო ელენე,**

მიმდინარე წლის 6 ოქტომბრის, № 2805999 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შესული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტისა და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიერ სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფებისათვის გადასაცემი ინციდენტის ტიპები განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №30 ბრძანებით.

გიგზავნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2014 წლიდან 2022 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, ლგბტქ+ პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ჩაშლილია წლების და ქალაქების/რაიონების მიხედვით.

აქვე მოგახსენებთ, რომ ლგბტქ+ პირებთან დაკავშირებით მონაცემების ამოღება მოხდა საქმის გარემოებებისთვის გამოყოფილი სპეციალური ტექსტური ველიდან („შენიშვნის ველი“), სიტყვათა სხვადასხვა კომბინაციის შერჩევით, რაც ვერ ასახავს ზუსტ მონაცემს. ამიტომ მოწოდებული სტატისტიკა, ლგბტქ+ პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების შესახებ, არის რეალურთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი.

იხ. მიბმული ფაილი

**პატივისცემით,**

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112"
ადმინისტრაციის (სამმართველო)
უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი
რობაქიძე სალომე